“ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის”

“აქტიური ახალგაზრდები არჩევნებისათვის”

ა(ა)იპ “ნოვაციო”

25 სექტემბერი – 25 ოქტომბერი, 2020 წელი

პროექტის მიზანი:

- ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება დემოკრატიული არჩევნების, ამომრჩეველთა მონაწილეობის მნიშვნელობის, არჩევნებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესების, საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურების საკითხებზე, საარჩევნო უფლებებსა და მათი რეალიზების პროცედურაზე.
- მოსახლეობაში არჩევნების პოპულარიზაცია .
- ამომრჩევლებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდა.

პროექტის განხორციელების არეალი:

პროექტი განხორციელდა იმერეთის 3 თვითმმართველ ერთეულში, წყალტუბოში, ქუთაისსა და ხონში.

სამიზნე ჯგუფი:

პროექტში მონაწილეთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ახალგაზრდები.

გენდერული თვალსაზრისით: ქალი–კაცი: 41 ქალი, 19 კაცი.

იხ. ცხრილი N1:



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა:

პროექტის ფარგლებში ქუთაისში, წყალტუბოსა და ხონში 3 ტრენინგი ჩატარდა 60 მონაწილისათვის, ასევე, თითოეულ მუნიციპალურ ერთეულში ჩატარდა საჯარო შეხვედრები ადგილობრივ ამომრჩევლებთან. ყველა ღონისძიებამ ჩაიარა მშვიდ და წყნარ გარემოში, არ ყოფილა რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები.

ბენეფიციართა დაინტერესება და ჩართულობა მაღალი იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდა იმერეთის (ქუთაისი, წყალტუბო და ხონი) მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე არჩევნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურებზე, საარჩევნო უფლებებზე, მათ რეალიზებასა (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპთან დაკავშირებით)და სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე, რაც ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და ამომრჩევლების (მათ შორის ახალგაზრდა ამომრჩევლების) აქტივობის ზრდას საარჩევნო პროცესში.

ტრენინგი და საჯარო შეხვედრა წყალტუბოში _ 16.10.2020

ტრენინგი და საჯარო შეხვედრა ქუთაისში _ 17.10.2020

ტრენინგი და საჯარო შეხვედრა ხონში_ 18.10.2020

პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

- პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდა იმერეთის (ქუთაისი, წყალტუბო და ხონი) მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე არჩევნებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურებზე, საარჩევნო უფლებებზე, მათ რეალიზებასა (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპთან დაკავშირებით)და სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე, რაც ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და ამომრჩევლების (მათ შორის ახალგაზრდა ამომრჩევლების) აქტივობის ზრდას საარჩევნო პროცესში.

- პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებით მიღებული შედეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმერეთის რაიონის ამომრჩეველებსა და ახალგაზრდა ამომრჩევლებში საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და უფლების რეალიზების ხელშეწყობისათვის.

მადლობა ყურადღებისთვის